საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №19

ქ. თბილისი 24 მარტი 2020 წ.

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ სსსტც „დელტა"-ს ელექტრონული გზავნილის (შემოსვლის №314, 24.03.2020) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში - ინსტიტუტი) თანამშრომლებს დაევალოთ:
   ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (HTTP://COVID.MOD.GOV.GE) განთავსებული ელექტრონული კითხვარის დაუყოვნებლივ შევსება და კითხვარისათვის მინიჭებული გენერირების კოდის შენახვა.
   ბ) ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული კითხვარის დაუყოვნებლივ დამატებით შევსება.

2. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დაქვემდებარებული თანამშრომლების გაფრთხილება აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე